ლელო

№ 27
(10987)

5-7 ივნისი, 1996 წ.

ფასი 25 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაბახი – ნინო სალუქვაძეს!

საქართველოს უკირველესმა ჩუბინმა ნინო სალუქვაძემ, კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი მაღალი ოსტატობა და დაამტკიცა, რომ მოახლოებულ ოლიმპიურ თამაშებში იგი არაერთი მედლის მოპოვების ნაღდი კანდიდატია.

ნინომ კვლავ შესანიშნავად ისპარეზა მსოფლიო თასის გათამაშებაში, მიუნხენში, სადაც სპორტული პისტოლეტით სროლაში უძლიერესის სახელი მოიპოვა. მთავარი ისაა, რომ შედეგია ძალიან მაღალი და შთამბეჭდავი — 693,7 ქულა. მეორე ადგილზე გასული სვეტლანა სმირნოვა (რუსეთი) მას 7,7 ქულით ჩამორჩა, მესამე ადგილზეა ჩინეთის წარმომადგენელი ვან ლინგი, რომელსაც 685,7 ქულა აქვს.

იქვე გაიმართა ასპარეზობა პნევმატური იარაღიდან სროლაში. აქ ნინო სალუქვაძე მესამე ადგილზე გავიდა — 484,1 ქულა, გაიმარჯვა სმირნოვამ — 485,5, მეორე იყო ასევე რუსეთის წარმომადგენელი ოლგა კლოჩნევა — 485,2.

ამის შემდეგ ნინო სალუქვაძე იტალიაში, მილანში, ჩავიდა. ერთი დღე ივარჯიშა და უმალვე ჩაება მსოფლიო თასის კიდევ ერთ გათამაშებაში.

სააგენტო „ქუმთე“

ნინო სალუქვაძე

შსს აკადემია თავის სპორტულ ბაზაზე, 25-28 ივნისს, ატარებს
გივი ჩოხელის
ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირს მინიფეხბურთში.

ემზადეთ ოლიმპიური კვირეულისათვის!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით

17-23 ივნისს

მთელ საქართველოში ჩატარდება ოლიმპიური კვირეული. ღონისძიების ჩატარებაში სეოკ-ს მხარში უდგას ერთგული სპონსორი ფირმა „კოკა-კოლა“.

23-ივნისს, კვირეულის დამაგვირგვინებელ დღეს მასობრივი გარბენები უნდა ჩატარდეს საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

ემზადეთ კვირეულისათვის!

ჯერ უკრაინა უნდა «გავიაროთ»

სევილიაში მოეწყო ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა. საქართველოს ნაკრები აგვისტოში ეთამაშება უკრაინის გუნდს. მოგებული შესარჩევ ტურნირში ჩაებმევა.

შესარჩევი შეხვედრები გაიმართება წლეულს ოქტომბერსა და ნოემბერში. ფინალურ ეტაპს 1997 წლის მაის-ივნისში იაპონია უმასპინძლებს. ფინალურ ეტაპზე პირდაპირ არიან დაშვებული საფრანგეთი (მსოფლიო ჩემპიონი), რუსეთი, ესპანეთი, იუგოსლავია, შვედეთი და ხორვატია.

განცხადება

„ლელოს“ რედაქცია იწყებს დაკვეთით ილუსტრირებული ცნობარის გამოცემას სერიით: „საქართველოს სპორტსმენები წესრიგის სადარაჯოზე“. მსურველებს ვთხოვთ წარმოადგინონ ფოტომასალები და საჭირო მონაცემები რედაქციაში. (მისამართი: თბილისი, კოსტავას, 14). ტელ.: 99-56-14

სპორტის ქვეკომიტეტის გადასახედიდან



წყალბურთის დიდოსტატი ნოდარ გვახარია

ეს კაცი ერთი იმ რჩეულთაგანია, ვინც ქართული წყალბურთის, საერთოდ, ქართული სპორტის დიდებას ქმნიდა და ვისი სახელიც სამუდამოდ დარჩა ჩვენი სპორტის სიამაყედ. მასზე, როგორც წყალბურთელზე იმდენი თქმულა თუ დაწერილა, რომ ახლა საგანგებო საუბარს არ ვაპირებთ. ახალგაზრდა მკითხველთა საყურადღებოდ მაინც შევნიშნავთ, რომ სპორტის დამსახურებული ოსტატი ნოდარ გვახარია სხვადასხვა დროს მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, ევროპის სიმბოლური ნაკრების წევრი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, მელბურნის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის თასის მფლობელი და კიდევ მრავალნაირად ტიტულიანი გახლდათ. მისთვის სპორტული პედაგოგობაც არ ყოფილა უცხო ხილი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის „დინამოს“, საქართველოს ნაკრებს, ყოფილი სსრ კავშირის ნაკრებს და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელიც ბრძანდება. ბატონმა ნოდარმა კალამსაც მოუსინჯა ფხა და ქართულ ენაზე პირველმა დაწერა წიგნები წყალბურთის შესახებ.

კიდევ რამდენიმე ცნობა-ინფორმაცია განსჯისათვის: ახლა ნოდარ გვახარია 64 წლისაა, კვლავ ყოჩაღად, „წყალბურთულად“ გამოიყურება; ჰყავს – მეუღლე, ორი ვაჟი და ქალიშვილი (თანამეცხედრე, ქალბატონი ალისა ასიტაშვილი ცნობილი კალათბურთელი იყო, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ორგზის ევროპის ჩემპიონი). ნოდარ გვახარია დიდხანს მუშაობდა შინაგან საქმეთა ორგანოებში და თადარიგში პოლკოვნიკის წოდებით გავიდა.

ამჟამად ბატონი ნოდარი საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტია.

● **თქვენს ცხოვრებაში ახალი სამსახურებრივი ეტაპი დადგა; როგორ გამოჩნდა, როგორ გესახებათ ქართული სპორტის პრობლემები თქვენი ქვეკომიტეტის – სპორტის ქვეკომიტეტის გადასახედიდან?**

—ჯერჯერობით ჩვენი ძირითადი საზრუნავი სპორტის შესახებ კანონპროექტია. ის, ჩვენდა დასანანად, წინა პარლამენტში არ განუხილავთ, თუმცა გარკვეული მუშაობა გასწიეს; არადა, თუ შესაბამისი კანონი არ მივიღეთ, ისე სპორტული საქმიანობა წარმოუდგენელია. დღესდღეობით სპორტის სფეროშიც სრული ქაოსია — არ ვიცით, რა უნდა აკეთოს დეპარტამენტმა, ეროვნულმა ფედერაციებმა, კლუბებმა; გაუგებარია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქალაქების ფუნქციები ამ დარგში. პირადად მე ვფიქრობ, რომ ქალაქებსა და ავტონომიურ დანაყოფებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა დამოუკიდებლად იმოქმედონ და სპორტის ის სახეობები განავითარონ, რისი ტრადიციები და საშუალებებიც მათთან არის. დამოუკიდებელ მოქმედებაში საერთაშორისო ურთიერთობებსაც ვგულისხმობ — ქალაქებია თუ ავტონომიური რესპუბლიკები, თვითონ უნდა ახერხებდნენ უცხო ქვეყნებთან კონტაქტების დამყარებას, ოღონდ არა ეროვნული ინტერესების საზიანოდ; მაგალითად, ნაკრებში იყოს სპორტსმენი მიწვეული და არ უშვებდნენ — თურქეთში მატჩი მაქვს დანიშნულიო, თუნდაც ეს მატჩი კომერციულად მომგებიანი იყოს. იგივეს ვიტყვი სპორტულ კლუბებსა და ფედერაციებზე: იყვნენ დამოუკიდებელნი, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში უმალვე უნდა ეროვნულ პოზიციებზე დგებოდნენ. ძალიან სერიოზულად უნდა ვუყურებდეთ სპორტის დეპარტამენტის, ოლიმპი-

იხ. მე-2 გვერდი

წარმატება, რომელიც პრესტიჟისთვის იყო საჭირო

ჩემპიონატის ექო

როგორც ვიუწყებოდით, სამბისტთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ათლეტებმა ორი პირველი, ერთი მეორე და ორი მესამე ადგილი დაისაკუთრეს. ამას გარდა კიდევ სამ სამბისტს მეხუთე შედეგი ჰქონდა, ერთს კი — მერვე. ყველაფერმა ამან პირადგუნდურ ჩათვლაში ჩვენს ნაკრებს 29 ქულით II ადგილი მოუტანა, თასს კი რუსეთის სამბისტები დაეპატრონენ — 34,5 ქულა. უძლიერესთა ხუთეულში მოხვდნენ, აგრეთვე, მონღოლეთის (22), ტაჯიკეთისა (18,5) და უზბეკეთის (18) წარმომადგენლები. სულ კი, თასის გათამაშებაში 15 ქვეყნის ნაკრები გამოდიოდა.

„ლელოს“ კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს სამბისტთა ნაკრები გუნდის მთავარ მწვრთნელს ოლეგ იაძეს (სურათზე).

● **რამდენიმე თვის წინ ჟურნალისტებთან საუბარში თქვენ გამოთქვით ვარაუდი თასის მოგების შესახებ. იყო თუ არა ამის რეალური შესაძლებლობა?**

— ჩემი და ჩემი კოლეგების ვარაუდი ემყარებოდა რწმენას, რომ შეჯიბრებამდე ორი სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ჩატარებას მოვახერხებდით. მაგრამ სპორტის დეპარტამენტს საამისოდ ფული აღარ შემორჩა. საქმე ის გახლავთ, რომ სპორტისთვის განკუთვნილი ფინანსები წლეულს ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისს მოხმარდა.

● **როგორც გავიგეთ, უშუალოდ თასისათვის გუნდურ რბოლაში მონაწილეობა არ მიგიღიათ. რატომ მოხდა ასე? თქვენ ხომ შეჯიბრებაზე სხვაგვარი გეგმებით მიემგზავრებოდით?**

— ჯერ გავარკვიოთ რა სახის შეჯიბრებაა მსოფლიოს თასი. თავდაპირველად გაიმართა პირად-გუნდური ტურნირი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირად ასპარეზობაში ნაჩვენები შედეგების საფუძველზე გამოვლინდა გუნდური ადგილები. ამ სისტემით ჩვენმა ნაკრებმა, როგორც მოგახსენეთ, მეორე ადგილი დაიკავა. მერე დაიწყო უშუალო ბრძოლა მსოფლიო თასისთვის, სადაც უკვე გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. აი, ამ ასპარეზობაში ჩვენ აღარ გამოვედით.

● **რა იყო ამის მიზეზი?**

— სამბოს საერთაშორისო ფედერაცია თავისი სურვილის მიხედვით ცვლის ხოლმე შეჯიბრების წესებს. შარშან არსებული წესის თანახმად, მოჭიდავეთა აწონვა უნდა მომხდარიყო ერთხელ, შეჯიბრების დაწყების წინ. მაგრამ პირად ასპარეზობაში ჩვენი ბიჭების დამაჯერებელმა გამოსვლამ ფედერაციის ზოგიერთ მუშაკს გუნება გაუფუჭა. იმისათვის, რომ რუსეთის სამბისტებს არ შეშლოდათ ხელი, სასწრაფოდ შეცვალეს დებულება და დაადგინეს, რომ თასისათვის გუნდური ბრძოლის წინ ხე-

იხ. მე-2 გვერდი

ორი საგზურისათვის

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო საქართველოს პირველობა ვაჟთა შორის, რომელშიც 10 დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობს.

ამ შეჯიბრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ორი გამარჯვებული ხვდება საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში, რომელიც სექტემბერში ერევნის საერთაშორისო ოლიმპიადაზე მიიღებს მონაწილეობას. ამ ნაკრებში უკვე მოხვდნენ დიდოსტატები გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა და გენადი ზაიჩიკი. რაც შეეხება გუნდის ლიდერის ზურაბ აზმაიფარაშვილის საკითხს, რომელსაც კონტრაქტი აქვს ბოსნიისა და ჰერცოგოვინის საჭადრაკო ფედერაციასთან, იგი ამ დღეებში ელისტაში გადაწყდება ფიდეს საპრეზიდენტო საბჭოს სხდომის შემდეგ.

«ჩიკაგო» – «სიეტლი»

სულ ცოტაც და დამთავრდება კალათბურთელთა ეროვნული ლიგის (ნბა) მორიგი ჩემპიონატი. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს „ჩიკაგომ“ და „სიეტლმა“.

შეგახსენებთ, რომ აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში „ჩიკაგომ“ პირდაპირ გაანადგურა „ორლანდო“ მშრალი ანგარიშით — 4:0. დაძაბულად მიმდინარეობდა ნახევარფინალური ბრძოლები დასავლეთ კონფერენციაში. აქ, ფინალისტის გამოვლენას დასჭირდა რეგლამენტით გათვალისწინებული ყველა შვიდი მატჩი. „სიეტლმა“ „იუტას“ აჯობა მინიმალური უპირატესობით — 4:3.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირი და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 73 წლისა უეცრად გარდაიცვალა „ლელოს“ თანამშრომელი გაზეთის დაარსების დღიდან, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ომისა და შრომის ვეტერანი

როდიონ (ბიჭიკო) ქორქია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 5.VI 16 ს. გამოსვენება 6.VI 15 ს. გიორგი ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) 10.

სპორტის ქვეკომიტეტის გადასახედიდან

(პირველი გვერდიდან)

ტის, ოლიმპიური კომიტეტისა და ეროვნული ფედერაციების მუშაობას. ფედერაციები პასუხისმგებელნი არიან ყველაფერზე, რაც დიდ სპორტს შეეხება — ქვეყნის პირველობის ჩატარება, ქართული სპორტის წარმოდგენა საერთაშორისო სარბიელზე და სხვა. ისინი მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ დეპარტამენტთან და ოლიმპიურ კომიტეტთან — ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე. ვიმეორებ, ფედერაცია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, მაგრამ პასუხს აგებს სახეობის განვითარებასა თუ მიღწევებზე. ეს ყველაფერი ჩადებულია კანონპროექტში.

ძალზე მნიშვნელოვანია სპორტული ბაზების საკითხი. დაუშვებელია მათი დანიშნულების შეცვლა. ვიღაცას მოეპრიანება და აუზს საწყობად გადააკეთებს, დარბაზს — მაღაზიად — არის ასეთი შემთხვევები. მე არა ვარ ბიზნესის წინააღმდეგი, ეს აუცილებელიც კი არის, მაგრამ უნდა კეთდებოდეს კანონიერად, მაშასადამე, პატიოსნად; კი ბატონო, იყოს კაფეები, სუვენირების, სპორტული ტანსაცმლის მაღაზიები, მაგრამ არა სპორტული ბაზების გაუქმების, ფუნქციის დაკარგვის ხარჯზე.

პრივატიზაცია რომ ხდება, ზოგს ჰგონია, რომ ყველაფრის უფლება აქვს. პრივატიზაცია უნდა იყოს, მოგება, ფასიანი ჯგუფები, გაქირავება თუ დაქირავება, მაგრამ, როცა ეროვნულ ინტერესებს ეხება საქმე, როცა ეროვნულ ნაკრებს სჭირდება აუზი თუ დარბაზი, ის მას შეღავათიან ფასებში უნდა დაეთმოს, ვთქვათ, 50%-ის ფასდაკლებით — სულ ერთია, პრივატიზებულია ბაზა თუ არა.

ამდენი ფირმა რომ გახსნეს ბაზებზე, მესმის, იმდენი შემოსავალი არა აქვთ, ბევრი რომ მოახერხონ, მაგრამ თითო მწვრთნელის „შენახვა“ ვერ უნდა შეძლონ? ამით ეროვნულ ნაკრებებს მწვრთნელთა პრობლემას მოვუხსნით. იმ ფირმებმა მარტო საკუთარ ჯიბეზე არ უნდა იფიქრონ...

სპორტის დეპარტამენტს აქვს ფაბრიკა, „დინამოს“ საზოგადოებას — ორი, თბილისში, საერთოდ, რამდენიმე სპორტული ფაბრიკაა; ამ დროს კი საშინლად გვიჭირს სპორტული ფორმები — ტრუსები, მაისურები და სხვა. ვალუტით ყიდულობენ და ძვირი უჯდებათ — ხომ უნდა მოვიდეს დრო, როცა ჩვენი ფაბრიკები სპორტულ ტანსაცმელს გამოუშვებენ.

მწვავედ დგას სპორტის პროპაგანდის საკითხი. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მას ჯეროვანი ყურადღება ეთმობა. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

● ბატონო ნოდარ, მესმის, რომ ქართული სპორტის ალმავლობა ქვეყნის საერთო მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომ ბოლო წლების ტრაგიკულმა ამბებმა სპორტსა და კერძოდ, წყალბურთს მძიმე დაღი დაასვა. რა პერსპექტივებს ხედავთ ჩვენი წყალბურთის „დაბრუნებისათვის“, შეიძლება თუ არა კვლავ გავხდეთ „წყალბურთული“ ქვეყანა?

— ქართული სპორტი დიახაც წამყვანი იყო უზარმაზარ სახელმწიფოში, როგორსაც საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა — ფეხბურთით, კალათბურთით, წყალბურთით, დავუმატოთ ჭადრაკი და ჭიდაობა. გვყავდა დიდი სპორტსმენები სხვა სახეობებშიც. დღეს კი მძიმე მდგომარეობაა. მე გეტყვით, საერთოდ რა უნდა გაკეთდეს და ეს წყალბურთსაც შეეხება. პირველი და მთავარი მწვრთნელთა საკითხია. ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ იმ წამყვან მწვრთნელთა დასაბრუნებლად, ვისაც ჯერ კიდევ შესწევს ახალგაზრდა სპორტსმენთა გაზრდის ძალ-ღონე. ჩვენ ახალგაზრდა მწვრთნელებიც გვჭირდება, მაგრამ ისინი ვერ გამოჩნდებიან, თუ გვერდით გამოცდილი, მცოდნე მწვრთნელები არ ეყოლებათ. მე ეს ჩემს თავზე გამომიცდია და კარგად ვიცი.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა სპორტს — ეს საქართველოში ნულამდე დავიდა თუ უახლოეს წლებში ხელშესახები შედეგები გვინდა, ბავშვებს სპორტისადმი ინტერესი უნდა გავუღვივოთ, სპორტით უნდა „დავაკავოთ“, ბავშვთა სპორტს ყველა პირობა შევუქმნათ და საუკეთესო აღმზრდელები მივუჩინოთ.

ჩვენ ისევ გავალთ მსოფლიო არენაზე იმიტომ, რომ თვალსაჩინო ტალანტები, ნამდვილად ნიჭიერები არ გვაკლდება. შეხედეთ დღევანდელ სურათს — ამ გაჭირვების ჟამს 36-მა სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიადის ლიცენზია.

გინდათ ბოლო გამოსვლა აიღეთ ჰააგაში — ძიუდოისტებმა რომ სამი ოქროს მედალი მოიპოვეს, რუსეთმა და კიდევ სხვა დიდმა ქვეყნებმა კი — ვერც ერთი.

● ყოველთვის მაინტერესებდა გამოჩენილი სპორტსმენების ბედი დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ. არაერთი მათგანის ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა (ადგილის ვერ მონახვა, დეპრესიულობა, გალოთება, ნარკომანება). თქვენ როგორ „შერჩით“ სპორტულ რეჟიმს, როგორ „ურთიერთობთ“ თამბაქოსთან, ალკოჰოლიან სასმელთან?

— იანვარამდე განუწყვეტლივ ვვარჯიშობდი, ყოველდღე ვცურავდი სამ კილომეტრს, თავს მშვენივრად ვგრძნობდი და ასე მეგონა, ახლავე შემიძლია წყალბურთის თამაში-მეთქი. ჩემდა საწყენად, ზამთარში ეს უკვე აღარ მოხერხდა (უწყლობა, სიცივე, უშუქობა). მთელ მსოფლიოში ან ცურავენ, ან ჩოგბურთს თამაშობენ. 100 წლისამ შეიძლება იცურაო, ფეხბურთს კი ვერ ითამაშებ.

სიგარეტი ჩემ სიცოცხლეში არ მომიწევია. სასმელს რაც შეეხება, ჩემთვის ეს არც თვითმიზანია, არც ხშირია, საქმეც არ მიშვებს; ისე, მეგობრებთან ყოფნა მოგენატრება კაცს და თუ სუფრასაც უზიარ მათთან ერთად — კიდევ უკეთესი.

დილის დაჭერვას რასაც ეძახიან, ჩემთვის, „ნაპროფესიონალისათვის“, ეს ცოტაა, თუმცა ყოველდღიურია.

● თქვენ და ქალბატონი ალისა რომ ხართ, ასეთი სახელოვანი სპორტსმენი მშობლების შვილები როგორ დამოკიდებულებაში არიან სპორტთან?

— სამივეს უყვარს სპორტი. ნატო თავის დროზე ურიგო მოცურავე და ჩოგბურთელი არ იყო. გიორგი, უფროსი ვაჟი, ერთ-ერთი დიდი საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეა, მეცნიერებათა კანდიდატი. მოყვარული სპორტსმენია — ცურვა, ჩოგბურთი, თხილამურები. ცოტ-ცოტას კალათბურთსა და წყალბურთსაც თამაშობდა. დავითი — პროფესიონალი წყალბურთელი გახლდათ, საბჭოთა კავშირის ორივე ნაკრების (ახალგაზრდულის, პირველის) წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ევროპის ჭაბუკთა პირველობის ვერცხლის პრიზიორი და ორგზის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (უნივერსიადები ოლიმპიადების შემდეგ ყველაზე დიდ შეჯიბრებად ითვლება); თავისუფლად იცის ინგლისური და ფრანგული, ახლა საფრანგეთშია, ქალაქ ნიორტის გუნდს ავარჯიშებს და ზოგჯერ თვითონაც თამაშობს; 35 წლისაა და გული მწყდება, რომ აქამდე ოჯახს არ მოკიდებია...

● შეუკითხავად ხომ არ გნებავთ რამე თქვათ...

— ბევრი ჩანაფიქრი გვაქვს ქვეკომიტეტში და დრო გვიჩვენებს, რას გავაკეთებთ. ჩვენს კომიტეტს ისეთი თავმჯდომარე ჰყავს (ბატონი რომან მიმინოშვილი), რომელსაც სპორტი ძალიან უყვარს, ესმის და აფასებს. კომიტეტში კი, ჩემი აზრით, კარგი კოლექტივი შეიკრა, აქ ბევრი საკითხის გადაწყვეტა შეიძლება და მათ შორის, სპორტულისაც...

ესაუბრა თამაზ ებანოიძე

რა ხდება ქვეყანაზე

● **მსოფლიოს** ჩემპიონმა 100 მეტრზე თარჯრბენში ლიუდმილა ნაროჟილენკო-ენკვისტმა შვედეთის მოქალაქეობა მიიღო და ატლანტის ოლიმპიადაზე თავისი ახალი სამშობლოს ღირსებას დაიცავს. როგორც შვედი სპეციალისტები ფიქრობენ, ნაროჟილენკო-ენკვისტი და კიდევ პატრიკ შზერგი რეალური პრეტენდენტები არიან ოლიმპიური მედლებისა. სხვა მძლეოსნების წარმატების საკითხი, მათი აზრით, სათუოა

● **ესპანეთის** ფირმა „კელმე“ კისრულობს ბელორუსიის სპორტსმენთა ეკიპირებას ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში. ამასთან დაკავშირებით მინსკის სასტუმრო „იუბილეინაიაში“ მოხდა პრეზენტაცია. რაც შეეხება ბელორუსიის მძლეოსნებს, მათი ცალკე სპონსორი ჰყავთ. ესაა საქვეყნოდ ცნობილი ფირმა — „ადიდასი“.

● **სამრეწველო** გაერთიანება „ფესტინა“, რომელიც ამავე სახელწოდების ველოჯგუფის გენერალურ სპონსორად ითვლება, კმაყოფილია სეზონის შედეგებით. განსაკუთრებით კი რიშარ ვირანკის გამოსვლით შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ სამთო ეტაპებზე. ამიტომაც, ფირმამ გააგრძელა კონტრაქტის ვადა 1999 წლამდე.

● **ლიუჩანო** ბენეტონის სახელი სპორტში კარგადაა ცნობილი. „ბენეტონის“ ღირსებას იცავენ კალათბურთელთა და ფრენბურთელთა საკმაოდ ძლიერი გუნდები იტალიაში. უძლიერესი გუნდი ჰყავს „ბენეტონს“ „ფორმულა-1“-შიც. მომავალი წლიდან იგი აპირებს მოტოციკლისტთა ჯგუფის შექმნას, რომელიც წრიულ ტრასებზე იასპარეზებს.

● **მსოფლიოს** და ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს სამთო-სათხილამურო სპორტში, შვედ პერნილა ვიბერგს, მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი ეყოლება. უკვე მიღწეულია შეთანხმება ცნობილ იტალიელ სპეციალისტთან ჰაინც-პეტერ პლატერთან.

● **ბრატისლავაში** გამართულ მძლეოსანთა ტურნირზე („გრან-პრი“ — იააფის სერია) გერმანელმა ნასტია რიქიხმა იუნიორთა მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა ჭოკით ხტომაში — 4,12 მ. შემდეგ მან სცადა 4,23 მ. დაძლევა, მაგრამ... უშედეგოდ.

● **ამ დღეებში** დიდი კალათბურთიდან წასული მეჯიკ ჯონსონი („ლოს-ანჯელეს ლეიკერსი“) ადვილი შესაძლებელია ისევ დაუბრუნდეს სპორტს. მით უფრო, რომ მას ეპატიჟება ორი იტალიური კლუბი და არგენტინის „ბოკა ხუნიორსი“. არგენტინაში ფიქრობენ ასე: თუ „ბოკა-ხუნიორსის“ ფეხბურთელთა კლუბში თამაშობს დიეგო მარადონა, რატომ არ შეიძლება კალათბურთელებს მეჯიკ ჯონსონი ჰყავდეთ?

● **კალათბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ დაამტკიცა 16 კლუბი, რომლებიც დააკომპლექტებენ ქალთა ევროლიგას. ეს კლუბებია: „ბურჟი“ და „ორში“ (საფრანგეთი), „კომო“ და „ჩეზენა“ (იტალია), „დორნა“ და „სალამანკა“ (ესპანეთი), „ვუპერტალი“ და „აშაფენბურგი“ (გერმანია), „რუჟემბეროკი“ (სლოვაკია), „პეჩი“ (უნგრეთი), „სპორტინგი“ (საბერძნეთი), „გალათასარაი“ (თურქეთი), „ეჟიკა“ (სლოვენია), „ელიცური“ (ისრაელი), „ბრნო“ (ჩეხეთი), „დინამო“ — კიევი (უკრაინა).

რა ხდება ქვეყანაზე

გამოიწერეთ

„ლელოს“ გამოწერა შეგიძლიათ ყველგან – როგორც „საქპრესის“ და „მაცნეს“ ორგანიზაციებში ისე პრესის კერძო გამავრცელებლების ფირმებში – „საქპრესა“, „უწყებანი“ და ა.შ.

ყველა ორგანიზაციას, ვინც ხელმოწერას აფორმებს მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენს რედაქციასთან.

ნდობა და საიმედოობა გარანტირებულია.

„ლელო“ სტაბილურად გამოდის!

ვინ გვიპასუხებს? იყო და აღარ არის, თუ...

1982 წელს თელავში გაიხსნა იმ ხანებში საქართველოში ერთ-ერთი კეთილმოწყობილი საჩოგბურთო სტადიონი. ამ ახალი სპორტული ობიექტის გახსნის ცერემონიალმა მაშინდელ საკავშირო პრესაშიც ჰპოვა გამოძახილი. იმ დღეს კორტებზე გამოვიდნენ სახელოვანი ჩოგბურთელები ოლგა მოროზოვა და ალექსანდრე მეტრეველი. 5 კორტს შემდეგ კიდევ 4 დაემატა, მუშაობდა ბავშვთა სპორტსკოლა.

რა ბედი ეწია უნიკალურ საჩოგბურთო სტადიონს თელავში!

გთხოვთ გვიპასუხოთ.

წარმატება, რომელიც პრესტიჟისთვის იყო საჭირო

(პირველი გვერდიდან)

ლმეორედ მომხდარიყო აწონვა.

● კი მაგრამ რა შეღავათს მოუტანდა ეს რუსეთის გუნდს, ან რატომ იყო მიუღებელი ჩვენთვის ხელმეორედ აწონვა?

— ჭიდაობაში კარგად გარკვეული ხალხი ადვილად გამიგებს, გულშემატკივრებისთვის კი შევეცდები დავაკონკრეტო. პირადი ასპარეზობის დროს თურქიასაც, მუზაშვილსაც, მელაძესაც და კიდევ რამდენიმე სამბისტს წონა მომატებული ჰქონდათ. ასე რომ, გუნდური შეჯიბრებისთვის მათ კილოგრამები უნდა „დაეგდოთ“. არადა, საღამოთი თურქიასაც და მუზაშვილსაც ფინალური ორთაბრძოლები ჰქონდათ (რომლებიც, სხვათა შორის, მათ მოიგეს კიდეც). ჩვენ, ბუნებრივია, აქცენტი პირად ტურნირზე გავაკეთეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში (წონა რომ დაეკლოთ) აქაც გავაფუჭებდით საქმეს და გუნდურშიც. წონადაკლებული კაცი გარკვეულწილად ხომ ძალასაც ჰკარგავს.

● მაგრამ წონის დაკლება რუსეთის სამბისტებსაც ხომ მოუხდებოდათ?

— საქმე სწორედ ის გახლავთ, რომ რუსეთი ერთი შემადგენლობით ასპარეზობდა პირად შეჯიბრებაში და მეორით — გუნდურში. ასე რომ, წონასთან დაკავშირებული პრობლემა მათ არ აწუხებდათ. ორ-ორი გუნდით იყვნენ ჩასული შეჯიბრებაზე აგრეთვე უკრაინა, ბელორუსია და სხვა ქვეყნები. ჩვენ კი, უმთავრესად ფინანსური პრობლემების გამო, ასეთ ფუფუნებაზე ფიქრიც არ შეგვეძლო. სხვათა შორის, ჩვენსავით დაიჩაგრა მონღოლეთის ძლიერი გუნდიც.

მარცხნიდან: (პირველ რიგში) – ბ. ჯანიაშვილი, მ. თურქია; მეორე რიგში – ი. არაბული, ჯ. მუზაშვილი, მ. ჯანანაშვილი, ო. იაძე, ა. ჩოხელი, ი. გამხიტაშვილი, ჯ. ქამხაძე.

● წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ჩვენს სამბისტებს არაფრით გამოუჩენიათ თავი. როგორ აფასებთ მსოფლიო თასის შედეგებს?

— ევროპის ჩემპიონატი, სამწუხაროდ, მხოლოდ ორი ვერცხლის მედლით აღვნიშნეთ. ეს ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ჩავარდნა იყო. ამიტომ მსოფლიოს თასზე წარმატებით გამოსვლა, პირველ ყოვლისა, პრესტიჟისათვის გვჭირდებოდა.

● რა იყო ამ წარუმატებლობის მიზეზი?

— [illegible] გეტყვით პირდაპირ! ჩემპიონატისათვის მზადების პერიოდში ბიჭებს აკლდათ კალორიული კვება.

● მსოფლიოს თასზე, თუ არ ვცდები, ორი კვირის შემდეგ წახვედით. რა მოხდა ამ ორ კვირაში, გაუმჯობესდა კვება?

— კვების დონე იგივე დარჩა, ოღონდ ბიჭები დავასვენეთ, დატვირთვები გავუნახევრეთ. ახალს ალბათ არაფერს ვამბობ — ინტენსიურ წვრთნას ინტენსიური კვება სჭირდება. ოსტატობა ჩვენს ბიჭებს საკმარისი აქვთ, ამიტომაც დასვენებამ უფრო მეტი ეფექტი გამოიღო. არადა, რომ იცოდეთ მეტოქეები „ევროპაზეც“ და მსოფლიო თასზეც იგივე გვყავდა. „მსოფლიოზე“ დაემატა მხოლოდ მონღოლეთის ძლიერი გუნდი.

● რა გეგმები აქვს მომავალში ჩვენს ნაკრებს?

— ორ თვეს შვებულებაში გავატარებთ ჩვენც, მწვრთნელებიც და მოჭიდავეებიც. აგვისტოში შევიკრიბებით და დავიწყებთ მსოფლიო ჩემპიონატისათვის სამზადისს, რომელიც ნოემბერში ტოკიოში გაიმართება.

● როგორია შანსები?

— ერთ მაგალითს მოგიყვანთ, დანარჩენი თქვენ განსაჯეთ. 62 კგ წონით კატეგორიაში გვყავს სამი კანდიდატი — მსოფლიო თასის წლევანდელი მფლობელი მერთაზ თურქია, ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბადრი ჯანიაშვილი და შარშანდელი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მეორე პრიზიორი მამუკა კურდღელაშვილი. ერთი სიტყვით, თუ ღმერთმა კეთილად გადმოგვხედა, ტოკიოში უნდა ვიმარჯვოთ.

ესაუბრა ნ. ახვლედიანი

კრამნიკი ყველგან იმარჯვებს

21 წლის ვლადიმირ კრამნიკი წლეულს იმარჯვებს ყველა შეჯიბრებაში, სადაც კი მონაწილეობს.

დოს-ერმანასში (ესპანეთი) დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ფიდემ ჯერ არნახული, მე-19 კატეგორია მიანიჭა. მასში 10 დიდოსტატი მონაწილეობდა, აქედან 9 უკანასკნელი „რეიტინგ-ლისტის“ პირველ ათეულში შედის.

დიდხანს ლიდერობდნენ ვ. ანანდი (ინდოეთი) და ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი). კრამნიკი დასაწყისში ყაიმებს სჯერდებოდა, მაგრამ შემდეგ მისი შეკავება პირდაპირ შეუძლებელი გახდა. მან მძაფრ ბრძოლაში თეთრებით მოუგო ანანდს, შემდეგ შავებით დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი და საბოლოოდ 6 ქულით პირველ ადგილზე გამოვიდა. ამდენივე ქულით კოეფიციენტების ცხრილში, უარესი მონაცემების გამო, მეორეა ტოპალოვი, მესამე — კასპაროვი (5,5 ქ.)

მილოცვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ოლიმპიური მუზეუმი და ოლიმპიური აკადემია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ ქუთაისში სპორტული მუზეუმის დამაარსებელს, ოლიმპიური მოძრაობის დაუღალავ პროპაგანდისტს დოცენტ

ზურაბ ჯავახაძეს.

წარმოგიდგენთ ფინალისტებს • B ჯგუფი

4. საფრანგეთი

- ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1901 წელს პარიზში.
- ფიფას წევრია მისი დაარსებიდან – 1904 წლიდან.
- სათამაშო ფორმა: მაისურები – ლურჯი, ტრუსები – თეთრი, გეტრები – წითელი.
- პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა 1904 წელს, 1 მაისს ბრიუსელში ბელგიის ნაკრებთან – 3-3.
- კონტინენტის პირველობაში მონაწილეობს 1960 წლიდან და ამ გათამაშების პირველი მასპინძელიც იყო.

1960 წელი 1/8 ფინალი: საბერძნეთთან — 1-1 და 7-1

1/4 ფინალი: ავსტრიასთან — 5-2, 4-2.

1/2 ფინალი: იუგოსლავიასთან — 4-5.

1964 წ. 1/16 ფინალი: ინგლისთან — 1-1, 5-2.

1/8 ფინალი: ბულგარეთთან — 0-1, 3-1.

1/4 ფინალი: უნგრეთთან — 1-3, 1-2.

1968 წ. შესარჩევი ციკლი: პოლონეთთან — 2-1, 4-1. ბელგიასთან — 1-2, 1-1. ლუქსემბურგთან — 3-0, 3-1.

1/4 ფინალი: იუგოსლავიასთან — 1-1, 1-5.

1972 წ. შ.ც.: ბულგარეთთან — 2-1, 1-2. ნორვეგიასთან — 3-1, 3-1. უნგრეთთან — 1-1, 0-2. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1976 წ. შ.ც.: გდრ-სთან — 2-2, 1-2. ბელგიასთან — 1-2, 0-0. ისლანდიასთან — 0-0, 0-3. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1980 წ. შ.ც.: შვედეთთან — 2-2, 3-1. ლუქსემბურგთან — 1-3, 0-3. ჩეხოსლოვაკიასთან — 0-2, 2-1. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1984 წ. ფინალური ტურნირის მასპინძელი. ფინალური ციკლი: დანიასთან — 1-0 (პლატინი), ბელგიასთან — 5-0 (პლატინი — 3, ჟირესი, ლ.ფერნანდესი), იუგოსლავიასთან — 3-2 (პლატინი — 3).

ნახევარფინალი: პორტუგალიასთან — 3-2 (დომერგი — 2, პლატინი).

ფინალი: ესპანეთთან — 2-0 (პლატინი, ბელონი); — ბატსი, ბოსისი, ბატისტონი (ამორო, 73), ლე რუ, დომერგი, ტიგანა, ფერნანდესი, ჟირესი, პლატინი, ლაკომბი (ჟენგინი, 80), ბელონი.

მთავარი მწვრთნელი: მიშელ იდალგო.

1988 წ. შ. ც.: ისლანდიასთან — 0-0, 2-0. სსრკ-სთან — 0-2, 1-1. გდრ-სთან — 0-0, 0-1. ნორვეგიასთან — 0-2, 1-1. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1992 წ. შ. ც.: ჩეხოსლოვაკეთთან — 2-1, 2-1. ესპანეთთან — 3-1, 2-1. ისლანდიასთან — 2-1, 3-1. ალბანეთთან — 1-0, 5-0.

ფინალური ციკლი: შვედეთთან — 1-1, ინგლისთან — 0-0, დანიასთან — 1-2. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1996 წ. შ. ც.: სლოვაკეთთან — 0-0, 4-0. (ჟინოლა, ბლანი, გერენი, ა.გ.) რუმინეთთან — 0-0, 3-1 (კარემბიუ, ჯორკაეფი, ზიდანი). პოლონეთთან — 0-0, 1-1 (ჯორკაეფი). აზერბაიჯანთან — 2-0 (პაპენი, ლოკო), 10-0 (დესაი, ჯორკაეფი — 2, გერენი, პედროსი, ლებეფი — 2, დიუგარი, ზიდანი, კოკარი). ისრაელთან — 0-0, 2-0 (ჯორკაეფი, ლიზარზიუ). ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

სულ შესარჩევ და ფინალურ ციკლში ითამაშა 69 მატჩი. მოიგო 33, ფრედ დაასრულა 19, წააგო 17 შეხვედრა, ბურთების შეფარდება 131-81.

ფრანგების ფინალური ციკლის მოთამაშეთა განაცხადი ასე გამოიყურება:

მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი — 1963 წ. „მონაკო". ბერნარ ლამა — 1963 წ. „პარი სენ-ჟერმენი". ბრუნო მარტინი — „მონპელიე".

მცველები: ჟოსლენ ანგლომა — 1965 წ. „ტორინო", იტალია. ლორან ბლანი — 1965 წ. „ოსერი". მარსელ დესაი — 1968 წ. „მილანი", იტალია. ერიკ დი მეკო — 1963 წ. „მონაკო". ფრანკ ლებეფი — 1963 წ. „სტრასბური". ბიქსანტ ლიზარ აზიუ — 1969 წ. „ბორდო". ალენ როში — 1967 წ. „პარი სენ-ჟერმენი". ლილიან ტიურამი — 1972 წ. „მონაკო".

ნახევარმცველები: დიდიე დეშამი — 1968 წ. „იუვენტუსი", იტალია. ვენსან გერენი — 1965 წ. „პარი სენ-ჟერმენი". ქრისტიან კარემბე — 1970 წ. „სამპდორია", იტალია. საბარი ლიამუში — „ოსერი". კორენტენ მარტენსი — 1969 წ. „ოსერი". რეინალდ პედროსი — 1971 წ. „ნანტი". ზინეიდინ ზიდანი — 1972 წ. „ბორდო".

თავდამსხმელები: იური ჯორკაეფი — 1968 წ. „პარი სენ-ჟერმენი". კრისტოფ დიუგარი — 1972 წ. „ბორდო". პატრის ლოკო — 1970 წ. „პარი სენ-ჟერმენი". მიშელ მადარი — 1968 წ. „მონაკო".

საფრანგეთის ეროვნული ნაკრები

პედროსი

„სამფეროვანთა" ნაკრებს ხელმძღვანელობს ემე ჟაკე.

„B" ჯგუფში ფრანგების მეტოქეები და მათი შეხვედრების თარიღები:

10 ივნისი. ნიუკასლი. „სენტ ჯეიმს პარკი" – რუმინეთი

15 ივნისი. ლიდსი. „ელანდ როუდი" – ესპანეთი

18 ივნისი. ნიუკასლი. „სენტ ჯეიმს პარკი" – ბულგარეთი

სამფეროვანი ფეხბურთელები ნებისმიერი დიდი საერთაშორისო შეჯიბრების სასურველი სტუმრები იყვნენ. მათ დიდი წარმატებებიც ჰქონიათ, ამავე დროს არაერთი სერიოზული მარცხიც, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მათი ფეხბურთი, ენერგიული და შემტევი, გულშემატკივრებს არასოდეს ტოვებდა გულგრილს. ასე იყო კოპასა და ფონტენის დროს, ასე გაგრძელდა შემდეგაც, როცა ნაკრებში წამყვანი პოზიცია პლატინიმ დაიკავა.

1992 წელს შვეციაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის მისაღებად ფრანგები პლატინის ხელმძღვანელობით დიდი იმედებით გაემგზავრნენ. ხუმრობა როდი იყო: გუნდმა მოიგო ყველა 8 შესარჩევი შეხვედრა. მაგრამ ფინალში ძლიერ გუნდებთან ბრძოლა „სამფეროვნებს" გაუჭირდათ და პლატინისაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გადადგომა მოუხდა.

ის, რაც პლატინის შემცვლელ ჟერარ ულიეს დაემართა, მართლაც საარაკო იყო: გუნდმა წარმატებით წარმართა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირის დიდი ნაწილი, რჩებოდა ორადორი მატჩი და ისიც პარიზში: ისრაელისა და ბულგარეთის ნაკრებებთან. საჭირო იყო სულ ერთი, ერთადერთი ქულის აღება და გუნდიც აშშ-ში გაემგზავრებოდა, მან კი ორივე შეხვედრა წააგო! ულიეს სამწვრთნელო კარიერას საფუძვლიანად დაესვა წერტილი. ახლანდელი მწვრთნელი ემე ჟაკე ბევრად უფრო იღბლიანია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა 20 მატჩი გამართა და არც ერთი არ წაუგია! ასეთი მიღწევა ფრანგ მწვრთნელებს მანამდე არა ჰქონიათ. ამასთან, საქმე მარტო სპორტულ შედეგებში არ არის. ფრანგების ნაკრები თამაშობს მეტად ძლიერად, იგი ნამდვილი პირველხარისხოვანი ოსტატებისგან შედგება, რომელთა ნაწილი ახლა საზღვარგარეთის წამყვან კლუბებში გამოდის. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ემე ჟაკე ნაკრებში არ იწვევს ფეხბურთელებს, რომლებიც მიეკუთვნებიან... მსოფლიო ელიტას.

საფრანგეთში ამჟამად უძლიერეს მეკარედ ითვლება ბერნარ ლამა („პარი სენ-ჟერმენი"), რომელსაც კონკურენციას უწევს ფაბიენ ბარტეზი („მონაკო"), თუმცა, ბარტეზი დიდი ხნის განმავლობაში დისკვალიფიცირებული იყო და მწყობრს ეს-ეს არის დაუბრუნდა.

დაცვის ხაზი, ასე თუ ისე, სტაბილურია. დიდი გამოცდილება აქვთ ლორან ბლანს, რომლის კლუბმა „ოსერმა" საფრანგეთის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც, და ალენ როშს („პარი სენ-ჟერმენი"). უნდა აღინიშნოს, ბრუნო ნ'გოტი, რომელმაც ამას წინათ გადამწყვეტი გოლი გაიტანა „პარი სენ-ჟერმენისა" და ვენის „რაპიდის" მატჩში. მატჩების უმეტესობა ჩაატარეს ბიქსან ლაზარაზიუმ („ბორდო"), ერიკ დი მეკომ („მონაკო"), ჟოსლენ ანგლომამ („ტორინო"). ერთი სიტყვით, მწვრთნელს ამ ხაზის დიდი იმედი აქვს.

შუა რგოლში ემე ჟაკეს არაერთი ღირსეული კანდიდატი ჰყავს და ძნელი სათქმელია ვის მიანიჭებს ბოლო მომენტში უპირატესობას. შავკანიანი მარსელ დესაი დიდი წარმატებით თამაშობს „მილანში". როცა ჟაკე მიიჩნევს, რომ მეტოქე გუნდში რომელიმე განსაკუთრებით საშიში თავდამსხმელი გამოდის, მას „გაცვლის წესით" დესაის მიამაგრებს ხოლმე და არ ყოფილა შემთხვევა, რომ დესაის თავი შეერცხვინოს. იტალიურ ლიგაში კარგი სახელი აქვს ჩუმ, თავდადებულ დიდიე დეშამს („იუვენტუსი"), რომელიც დიდ სამუშაოს ასრულებს. იგივე ითქმის 25 წლის კრისტიან კარამბეზე, რომელიც გენუის „სამპდორიაში" გამოდის. იმ მოთამაშეთა შორის, რომლებმაც სახელი ბოლო ხანებში მოიხვეჭეს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჟაკეს საყვარელი ნახევარმცველი. [illegible] პედროსი („ნანტი"). [illegible] ნელი [illegible] ლალ ტექნიკას და, ახე გასინჯეთ, ერთ „ნაკლსაც": პედროსი თამაშობს გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ეს საფრანგეთის ნაკრებს შეეფერება. „მას რომ დროის შეგრძნება განუვითარდეს, მოვლენებს წინ არ გაუსწროს, სწორედ კარგი იქნება". — ამბობს ემე ჟაკე.

რაც შეეხება თავდასხმას, აქ შეიძლება ითქვას, პირდაპირ კურიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ჰკითხეთ ნებისმიერ ექსპერტს, რომლებიც გიპასუხებენ, რომ სამი ყველაზე უფრო ცნობილი ფრანგი თავდამსხმელი სადღეისოდ გახლავთ ჟანპიერ პაპენი, რომელიც წლევანდელი სეზონის განმავლობაში მიუნხენის „ბაიერნში" გამოდიოდა კლინსმანთან წყვილში. დისციპლინასთან, ცოტა არ იყოს, მწყრალად მყოფი, მაგრამ უძლიერესი ფორვარდი, ინგლისში დიდად პოპულარული ერიკ კანტონა, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც, შესანიშნავი გარემარბი დავიდ ჟინოლა („ნიუკასლ იუნაიტედი"). დიახ, ეს ასეა, მაგრამ ემე ჟაკე არც ერთს სწყალობს, არც მეორეს და მესამეს.. მაშინ, როცა კანტონას ინგლისში ასეთი წარმატება აქვს, ჟაკე ამბობს:

— მე არა მგონია, რომ მას შეუძლია გუნდს რამე ახალი მოუტანოს. ისე კი, რომ მოვიწვიოთ, ვალდებული ვიქნები ვათამაშო კიდეც.

როგორც ჩანს, მწვრთნელს ეს მაინცდამაინც არ სურს. მაშ ვისი იმედი აქვს? აი, მისი რჩეული თავდამსხმელები: იური ჯორკაეფი („პარი სენ-ჟერმენი"), სომხური წარმოშობის შთამომავლობით ფრანგი ფეხბურთელი, მისი მამა ჟორჟიც საფრანგეთის ნაკრებში გამოდიოდა; პატრის ლოკო („პარი სენ-ჟერმენი"), რომელიც ძალიან კარგად არის შეთამაშებული ჯორკაეფთან, ზინედინ ზიდანი („ბორდო"), „რუსული ფეხბურთის ჯალათად" წოდებული, შესანიშნავი სნაიპერი ნიკოლა უედეკი („ნანტი"), კრისტოფ დიუგარი („ბორდო"), რომელსაც ჟაკე ძალიან აქებს.

ერთი სიტყვით, ემე ჟაკე იმედოვნებს, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახსენდეს ის, რაც ოთხი წლის წინათ მოხდა შვეციაში, სადაც გუნდი ჩავიდა როგორც ტრიუმფატორი და დაბრუნდა სრულიად შერცხვენილი. „პარკ დე პრენსის" კოშმარი (ჟაკეს მხედველობაში აქვს მარცხი ბულგარელებთან) უკვე დავიწყებულია. მას ჯგუფის ფავორიტად ესპანელები მიაჩნია და ფიქრობს, რომ ფრანგები ამ გუნდთან ერთად უნდა გავიდნენ მეოთხედფინალში. თავის მხრივ ესპანელთა მწვრთნელი ხავიერ კლემენტე ასე ფიქრობს: „ის ფაქტი, რომ ფრანგები ფინალში კანტონასა და ჟინოლას გარეშე გავიდნენ, მშვენივრად ლაპარაკობს ამ გუნდის ნამდვილ პოტენციალზე". მარსელ დესაი გუნდს ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებს რუმინელებთან შეხვედრაში, რომელთაც ფრანგებმა შესარჩევი მატჩი მოუგეს და თანაც სად — ბუქარესტში. რუმინელთა მწვრთნელი ანგელ იორდანესკუ მიიჩნევს, რომ ეს შეხვედრა მან უკვე დაივიწყა და ფრანგებთან მომავალ მატჩს ნიუკასლში სულ სხვანაირად წარმართავს.

1984 წელს ფრანგები ევროპის ჩემპიონები იყვნენ, ნიკოლა უედეკს რომ კითხოთ, მათ ახლაც შეუძლიათ ამ წოდების მოპოვება.

ჟაკე

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბოლო უიკ-ენდი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის წინა კვირას გაიმართა ტურნირში მონაწილე გუნდების ბოლო საკონტროლო შეხვედრები.

რუსეთი — არაბთა გაერთიანებული საემიროები 1-0. სიმუტენკოვი, 84.

იტალია — ბელგია 2-2. კლაისი, 5 (0-1), კარბონი, 10 — საკუთარ კარში (0-2), დელ პიერო, 24 (1-2), კიეზა, 53 (2-2).

ჩრდ. ირლანდია — გერმანია 1-1. ო'ბოილი, 79(1-0), შოლი, 80 (1-1).

ავსტრია — ჩეხეთი 1-0. ვეტლი, 86.

ირლანდია-პორტუგალია 0-1. ფოლია, 90.

ჰოლანდია — ჩინეთი 2-0. ვინტერი, 42(1-0), დე კოკი, 89 (2-0).

შოტლანდია-კოლუმბია 0-1. ასპრილია, 82.

საფრანგეთი — ფინეთი 2-0. ლოკო, 15 (1-0), პედროსი, 17 (2-0).

ესტონეთი — თურქეთი 0-0.

რუსეთი — პოლონეთი 2-0.

აველანჟის პირველი ფიასკო

გაზეთ „კოკულარის" (ბუენოს-აირესი) ცნობით, არგენტინამ გადაწყვიტა უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატს 2006 წელს და ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ განაცხადს წარუდგენს ფიფა-ს უახლოეს დღეებში.

სხვათა შორის, ფიფამ თავის მორიგ სხდომაზე უკვე გადაწყვიტა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოწყობასთან დაკავშირებული ერთი პიკანტური პრობლემა. როგორც ცნობილია, უეფა მხარს უჭერდა გაერთიანებული ჩემპიონატის იდეას, რომლის ორგანიზაციას ერთობლივად კისრულობდნენ იაპონია და კორეა. ამ, ერთი შეხედვით საინტერესო წინადადებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი, მაგრამ, ეტყობა, ბოლო დროს მას შეერყა ავტორიტეტი და მის პოზიციას ანგარიში არ გაეწია. ყოველ შემთხვევაში საერთაშორისო ფედერაციის ალმასკომმა შესაძლებლად ჩათვალა ერთობლივი მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზაცია. უეფას ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ყველა რეგიონალურმა კონფედერაციამ, რაც აველანჟის უმაგალითო დამარცხებას ნიშნავს.

რაც შეეხება 2006 წლის ჩემპიონატის არგენტინაში გამართვას, ეს სამხრეთამერიკული ქვეყანა, როგორც ჩანს, სერიოზულად არის დაინტერესებული სპორტის პოპულარიზაციით თავის ქვეყანაში, ვინაიდან ორი წლით ადრე ოლიმპიური თამაშების მოწყობასაც აპირებს.

4 დეკემბერი, 1997 წელი

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის გენერალური დირექტორის ჟაკ ლამბერის განცხადებით, ფინალური ტურნირის წილისყრა მოხდება სწორედ ამ წელს და ამ დღეს მარსელში. რატომ მაინც და მაინც 4 დეკემბერი აირჩიეს ორგანიზატორებმა? ლამბერმა განმარტა, რომ ორი დღით ადრე ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება მოეწყობა. 8-10 დეკემბრისთვის კი ევროთასების მატჩებია დანიშნული. ასე რომ, 4 დეკემბერი ორგანიზატორების აზრით ყველაზე ოპტიმალური დღეა.

კვიპროსი აღარ ხიბლავს

კვიპროსზე სამწლიანი ყოფნის შემდეგ „ჟემჩუჟინაში" ბრუნდება ამ კლუბის ყოფილი თავდამსხმელი, 31 წლის გოჩა გოგრიჭიანი, რომელსაც საქართველოს ნაკრებში 3 მატჩი აქვს ნათამაშები ევროპის პირველობის შესარჩევ ციკლში. ამ დღეებში გოგრიჭიანს დაუმთავრდა კონტრაქტი კვიპროსის „პაფოსთან" და „თავისუფალი მოქალაქეა", თუმცა მას, იმავე კვიპროსზე სხვა სამი გუნდი ეპატიჟებოდა — აპეპი, აპოპი და „პარალიმნი"

- **ამიერიდან** კოკა-კოლა ოფიციალურად მოამარაგებს რუსეთის ფეხბურთელთა ნაკრებს უალკოჰოლო სასმელებით, მანვე გადაწყვიტა, 25 მილიონი რუსული რუბლით დააჯილდოვოს ნაკრების ის მოთამაშე, რომელიც ინგლისში, ევროპის ჩემპიონატზე პირველ გოლს გაიტანს.
- **მიუხედავად** იმისა, რომ „პარი სენ-ჟერმენმა" მოიგო თასების წლევანდელი თასი, გუნდის მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა არ გატეხა პირობა და დატოვა პოსტი.
- **იტალიის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ანტონიო მატარეზე და მისი ათი კოლეგა დაბარებული არიან სასამართლოში. მათ ბრალად ედებათ სამი კლუბის უკანონო რეგისტრაცია „ა" და „ბ" სერიებში.
- **„რეალ სოსიედადი"** ვალერი კარპინს მხოლოდ 8 მილიონ დოლარად დათმობს — ეს განაცხადეს ესპანური კლუბის ხელმძღვანელებმა. კარპინის ყიდვას „ვალენსია" აპირებს.
- **უეფას** თასის ფინალში „ბაიერნთან" დამარცხების შემდეგ გადადგა საფრანგეთის „ბორდოს" პრეზიდენტი ალენ აფლელუ.
- **2,5 მილიონი** ფრანკი გადაუხადა იტალიის „ინტერმა" საფრანგეთის „ნიცას" სამუელ იპუაში. როგორც ჟურნალისტები აღნიშნავენ, ეს დიდი თანხა არ არის — დაახლოებით 550 ათას დოლარს შეადგენს.
- **გერმანიის** ეროვნული ნაკრების ყოფილმა მოთამაშემ მაურიციო გაუდინომ გადაწყვიტა ფრანკფურტის „აინტრახტში" დარჩენა, შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელს ქალაქ მანჰეიმის სასამართლომ სხვადასხვა მახინაციაში მონაწილეობისათვის მიუსაჯა პირობითი პატიმრობა და ჯარიმა 180 ათასი მარკის ოდენობით.
- **აზერბაიჯანის** ეროვნულ ნაკრებში (მწვრთნელი კაზბეკ ტუაევი) მიწვეულია 10 ლეგიონერი, მათგან ხუთი ადრე რუსეთის კლუბებში თამაშობდა.

29 მაისს საქართველოში ჩამოვიდა მსოფლიოს საერთაშორისო შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი, მე-9 დანის მფლობელი ხერეგაზო კანაძავა. ამ ფაქტთან დაკავშირებით გვესაუბრება კარატეს ამ სტილის საქართველოს ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ ლეჟავა.

— ბატონმა კანაძავამ თავად მოისურვა ჩამოსულიყო საქართველოში, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდით, — თქვა ზ. ლეჟავამ, — ორი დღის განმავლობაში სტუმარმა აქ ჩაატარა სემინარები და გამოცდები, ხარისხებისა და დანის მინიჭებაზე (იხ. სურათი). სემინარზე 141 კარატისტი იყო წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. დიდი ოსტატი კმაყოფილი დარჩა და აღნიშნა, რომ არ ეგონა თუ საქართველოში ასეთ მაღალ დონეზე იდგა კარატეს ეს სკოლა. ეს შექება დიდი სტიმულია ჩვენთვის. მან ისიც დასძინა, რომ საქართველოში არიან კარატისტები, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად ისპარეზონ მსოფლიო პირველობაზე.

კანაძავა პროფესიონალი კარატისტია. ვარჯიში 12 წლისამ დაიწყო, ამჟამად იგი 65 წლისაა, მაგრამ კვლავ ძალიან სწრაფია, განსაკუთრებით უყვარს ბავშვები. იგი ნერგავს პრინციპს — რომ კარატე ეს არის ურთიერთსიყვარული, ურთიერთგაგების სისტემა და აქ საბრძოლო ხელოვნება უკანა პლანზეა. მისი სიტყვებით „ეს 100 წლის წინათ იყო კარატე მხოლოდ საბრძოლო ხელოვნება. ადრე შიშველი ხელით ბრძოლა იყო მხოლოდ თავდაცვის საშუალება". ამ პრინციპებს კანაძავა მთელს მსოფლიოში ნერგავს.

სტუმარი მხოლოდ 4 დღე დარჩა საქართველოში და ჩვენი ქვეყნითა და ხალხით მოხიბლული გაემგზავრა შინ.


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ბიჭიკო ქორქია

ამ სახელს იცნობდა დიდი თუ პატარა — ყველა, ვისაც უყვარდა ფეხბურთი და, ასე თუ ისე, ჰქონია საქმე ტყავის ბურთთან. ჩვენი ბიჭიკო (ასე ვეძახდით მას ყველანი, თუმცა ისიც ვიცოდით, რომ ოფიციალურად როდიონი — მამის სახელი ერქვა), ცნობილი მწერლის როდიონ ქორქიას ვაჟი, მთაწმინდაზე რომ დაიბადა 73 წლის წინათ, უბნის ნამდვილი კოლორიტი იყო. ტოლ-ამხანაგებს უყვარდათ სიმართლისათვის, სალი აზროვნებისათვის, ერუდიციისათვის ყველა სფეროში და, უპირველესად, ფეხბურთის ამბებში.

წერდა ბიჭიკო ამ პოპულარულ თამაშზე ყველაზე ადრე, ყველაზე მეტს და ყველაზე კარგად — საინტერესოდ, გამართულად, ქართულად. კალმის ნამდვილი პროფესიონალი იყო, ბევრს შეგვაყვარა ფეხბურთი და სპორტული ჟურნალისტიკა, ბევრი გვასწავლა. უამრავი რამ იცოდა, სულ მცირე დეტალებიც კი არ ეშლებოდა. გაგიგონიათ ალბათ გამოთქმა „ფეხბურთის პატრიარქი". ბიჭიკო ქორქია ფეხბურთის მიმომხილველთა ნამდვილი „პატრიარქი" გახლდათ.

რომ გადახედოთ „ლელოს" ძველ ნომრებს, ადვილად დარწმუნდებით, რომ გაზეთის გამოსვლის დღიდან ყველაზე საინტერესო, ყველაზე ობიექტური, საქმიანი და გასაგები წერილები ფეხბურთზე სწორედ ბ. ქორქიას ხელმოწერითაა დასტამბული. მკითხველს მოსწონდა ისინი, სტრიქონებს შორის საქმის კარგ მცოდნეს გრძნობდა და საყვარელი გუნდის თამაშის შემდეგ მოუთმენლად ელოდა მის მორიგ ანგარიშ-რეცენზიას. გაზეთის მკითხველები ისე შეეჩვივნენ ქორქიასეულ გარჩევებს — „განმეორებით დასწრებას" გუშინდელ მატჩზე, რომ სხვათა ხელმოწერას ვერ ეგუებოდნენ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დაწყებული 13 წლის ასაკიდან (1936 წლიდან) მას პრაქტიკულად თამაში არ გაუცდენია თბილისში. თუ ბურთი გაგორდებოდა „დინამოზე", „ლოკომოტივზე", „შევარდენზე", „სინათლეზე", ასკ-ზე ანდა, ვთქვათ, „სუკონკაზე", უნდა გცოდნოდათ, რომ ტრიბუნებზე სხვებთან ერთად აუცილებლად იჯდებოდა ყველაზე დაკვირვებული, ყველაზე გულმხურვალე შემფასებელი — ბიჭიკო ქორქია. არაერთი მშვენიერი წიგნი მიუძღვნა ფეხბურთს.

თბილისს რომ თავი დავანებოთ, მას ხშირად ნახავდით სტადიონზე ქუთაისში და ლანჩხუთში, ბათუმში, სოხუმში, გაგრაში, ლესელიძეში. ხშირად ახლდა ჩვენს დინამოელებს მოსკოვსა და ლენინგრადში, კიევში, ბაქოში, ერევანში, ესწრებოდა უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ ტურნირებს როსტოვსა თუ კიშინიოვში. ცხადია იყო ოქროს მატჩზე ტაშკენტში, დაესწრო ბრაზილიელთა თამაშს მოსკოვში, იყო მიუნხენის მსოფლიო ჩემპიონატზე...

ბიჭიკო, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ომისა და შრომის ვეტერანი, ქართული ფეხბურთის ქომაგი და თანამოზიარე გახლდათ. მეგობრობდა ბორის პაიჭაძესთან, გაიოზ ჯეჯელავასთან, მიხეილ ბერძენიშვილთან, გრიგოლ გაგუასთან, ასლან ხარბედიასთან და პირველი თაობის სხვა გამოჩენილ ოსტატებთან. დიდად აფასებდა ავთანდილ ღოღობერიძის, ვლადიმერ მარღანიას, ნიაზ ძიაპშიპას, ავთანდილ ჭკუასელის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, გივი ჩოხელის, მურთაზ ხურცილავას, დავით ყიფიანის, მანუჩარ მაჩაიძის, ალექსანდრე ჩივაძის ოსტატობას, იმედით გასცქეროდა გიორგი ქინქლაძეს, ძმებ არველაძეებს...

დღე არ გავიდოდა ბიჭიკოსათვის რომ არ დაერეკათ ანდა რედაქციაში არ შემოევლოთ გიორგი ანთაძესა თუ მიხო ჭელიძეს, ნესტორ ჩხატარაშვილსა თუ ოტია ქორდანიას, ავთანდილ პაიჭაძესა თუ ძიუ ლომაიას... ან ვილაცის ქორწილში მიდიოდნენ, ან დაბადების დღეზე, ბოლო წლებში, სამწუხაროდ, უფრო პანაშვიდებსა თუ დაკრძალვაზე უხდებოდათ სიარული. დღეს რედაქციის ძველი და ახალი მუშაკები თავად ვემშვიდობებით ბიჭიკოს, ვემშვიდობებით და მოგონებად გვრჩება მისი კაცობა, პირდაპირი სიტყვა. ზოგჯერ მწარე, ზოგჯერ იუმორით ნარევი, მაგრამ ყოველთვის ორიგინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი...

ლელოელები


კიშინიოვი, 1961 წელი. მარცხნიდან (პირველ რიგში): ბიჭიკო ქორქია, ეროსი მანჯგალაძე, ბაკურ ბახტურიძე, მიხეილ ლაზიშვილი, თენგიზ კაკაბიძე.

FRANCE 98
COUPE DU MONDE
© 1994 ISL TM

კონტინენტზე გამოცოცხლებაა

გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩები სამ კონტინენტზე — ევროპაში, სამხრეთ ამერიკასა და აფრიკაში.

ევროპა: III ჯგუფი. ნორვეგია — აზერბაიჯანი 5-0, IV ჯგუფი. შვედეთი — ბელარუსი 5-1, VI ჯგუფი. იუგოსლავია — მალტა 6-0, VII ჯგუფი. სან-მარინო — უელსი 0-5, VIII ჯგუფი. ისლანდია — მაკედონია 1-1.

სამხრეთ ამერიკა: ორმა სენსაციურმა შედეგმა დიდი არეულობა შეიტანა სატურნირო ცხრილში. მთავარი მოულოდნელობა იყო ურუგვაის ფეხბურთელთა დამარცხება შინ ტრადიციულ მეტოქეებთან — პარაგვაელებთან, თანაც მშრალი ანგარიშით — 0-2. მარცხი განიცადა, ოღონდ სტუმრად, ეკვადორში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა არგენტინამაც. ანგარიში იქაც იგივეა — 0-2. ორი შეხვედრა დამთავრდა ფრედ, თანაც ერთნაირი ანგარიშით — 1-1. ასე ითამაშეს პერუ — კოლუმბიამ და ვენესუელა — ჩილიმ.

აფრიკა: გვინეა — ბისაუ-გვინეა 3-2, კენია — ალჟირი 3-1, კონგო — კოტ-დივუარი 2-0, ბურუნდი — სიერა ლეონე 1-0, გამბია — ლიბერია 2-1, ნამიბია — მოზამბიკი 2-0, სუდანი — ზამბია 2-0, ტოგო — სენეგალი 2-1, უგანდა — ანგოლა 0-2, სვაზილენდი — გაბონი 0-1, რუანდა — ტუნისი 1-3, მავრიკია — ზაირი 1-5, მადაგასკარი — ზიმბაბვე 1-2, მალავი — სამხ. აფრიკა 0-0, მავრიტანია — ბურკინა-ფასო 0-0.

კროსვორდი

თარაზულად: 5. ფეხბურთელი ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის გვარით, 6. მარათონელი, რომელმაც ფეხშიშველმა მოიგო ოლიმპიური ოქროს მედალი, 10. ფრანგული სპორტული, პოპულარული გაზეთი, 11. მაჰმადიანთა სულიერი მოძღვარი. 12. თბილისის საფეხბურთო გუნდი, 15. რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატში ახალი სახელით მოასპარეზე გუნდი, 16. საქართველოს საფეხბურთო გუნდი, 17. ცურვის ყაიდა ანუ... 18. ცნობილი შვედი მოთხილამურე, რომლის გვარი ჩვენებურად ჟღერს, 21. საბავშვო თამაშობა, 23. ცხენის სახელი კ. გამსახურდიას ნაწარმოებში, 27. საქმიანობა ანუ... 29. კლდის, მდინარის მიუდგომელი ნაწილი, 30. ტანვარჯიშული იარაღი, 31. სულელი, ჩერჩეტი, 32. ოლიმპიური ჩემპიონი (ბარსელონა) 100 მ. რბენაში.

შვეულად: 1. ჰიმალაის მთებში მცხოვრები ტომი, ალპინისტთა მეგზურები, 2. სპორტული ბაზებით ცნობილი შავიზღვისპირა კურორტი, 3. თბილისის ძველი იპოდრომის ადგილსამყოფელი, 4. მუზარადი ანუ... 7. იუგოსლავიის სათხილამურო კურორტი, 8. მთიანი მასივი რუსეთში, 9. სიხარულის გამოხატვა კოცნით, 13. ჯადო, რომელსაც ხშირად იყენებენ სპორტსმენები, 14. საქართველოს ზამთრის კურორტი, 19. ცისკრის ვარსკვლავი, 20. ცნობილი ამერიკელი მოჭადრაკე, 22. სიგნალი სპორტული ასპარეზობისას, 24. წოდება, რომელსაც სპორტსმენებიც მოიპოვებენ, 25. წერილი ანუ... 26. ილეთი ჭიდაობაში, 28. სპორტულ შეჯიბრებებში დასაშვები რაოდენობა.



ლელოს წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 5. დარიალი, 7. ჩახმახი, 8. დრიბლინგი, 11. შტილი, 12. ტემპი, 13. კორტი, 16. ქენევა, 17. კრუიზი, 21. ჰენტო, 22. გრაფი, 23. ტრაპი, 26. გოლეადორი, 27. გვარდია, 28. კრიკეტი.

შვეულად: 1. გამბიტი, 2. ალური, 3. ჩანგი, 4. ჩხვლეტა, 6. მალამო, 9. ალპინისტი, 10. გოლკიპერი, 14. ლუერი, 15. შორტი, 18. შებოჭვა, 19. პარადი, 20. სპრინტი, 24. ნოდია, 25. ერერა.

შეკითხვა — „ლელოს"

ამას წინათ ერთ უცხოურ გამოცემაში ვნახე ფოტო, რომელზედაც აღბეჭდილია სპორტსმენი ოლიმპიური ცეცხლით რომელიღაც შეჯიბრების გახსნისას. დაშვებულია თუ არა ცეცხლის გამოყენება სხვა ასპარეზობებზე?

ვახტანგ ჟურაძე
თბილისი

პასუხი: არა არ არის. ოლიმპიური ქარტიის შესაბამისად ოლიმპიურ ცეცხლს მხოლოდ ოლიმპიური თამაშების გახსნისას იყენებენ. ცეცხლით სარგებლობის მონოპოლიური უფლება აქვს მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც მკაცრად იცავს ქარტიის მოთხოვნას ასე რომ, თუ ის შეჯიბრება, რომელიც თქვენ ფოტოზე ნახეთ, ოლიმპიადა არაა, არც ცეცხლი იქნება ოლიმპიური.

თუმცა, არის ქვეყნები, სადაც ცეცხლს იყენებენ სხვადასხვა ასპარეზობის გახსნისას. მაგრამ ეს წაბაძვაა და არც ცეცხლია ოლიმპიის წმინდა ჰალიდან.

მაგალითად, ცნობილია „ცენტრალურ ამერიკული ცეცხლი", რომლის წარმოშობის და გამოყენების ტრადიცია შორეულ წარსულშია ფესვგადგმული. ერთ-ერთი უძველესი მექსიკელთა ტომი ჯერ კიდევ „ამერიკის აღმოჩენამდე" მისდევდა ტრადიციას, როცა კალენდრით დაწესებულ დღეს ანთებდნენ ცეცხლს, შემდეგ ჩირაღდნები ახალგაზრდა მორბენლებს გადაჰქონდათ სხვადასხვა ტომში და უნაწილებდნენ მათ, როგორც ცხოვრების განახლების სიმბოლოს.

ამ ტრადიციას იყენებენ ცენტრალური ამერიკის თამაშების საზეიმო გახსნისას. მეხიკოდან 8 კმ-ით დაშორებულ ლასესტრალიას ჰალაში, სადაც მექსიკელთა ის ტომი ცხოვრობდა, ანთებენ ცეცხლს და გადააქვთ ჩირაღდნით თითქმის იგივე წესით და რიტუალით, როგორც „ოლიმპიური ცეცხლი". დიახ, ეს მხოლოდ მიბაძვაა და ტრადიციის პატივისცემაა და მეტი არაფერი. თუმცა, სამხრეთ ამერიკაში მიაჩნიათ, რომ ეს ცეცხლი სიმბოლოა ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხების მხურვალე მისწრაფებისა მშვიდობისა და ურთიერთგაგებისაკენ.

ასეთ მიბაძვას, ცხადია, მსოფლიო ოლიმპიური მოძრაობაც ზიესალმება.

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა სამძიმარს გამოთქვამს, ვეტერან ფეხბურთელთა ძველი მეგობრის, გამოჩენილი საფეხბურთო მიმომხილველის

ბიჭიკო ქორქიას

გარდაცვალების გამო

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი, მ.კაკაბაძის სახელობის პრემიის ლაურეატი

ბიჭიკო ქორქია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ჟურნალისტი, გამოჩენილი საფეხბურთო მიმომხილველი

ბიჭიკო ქორქია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ვეტერან სპორტსმენთა კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ამ კავშირის წევრის

ბიჭიკო ქორქიას

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ●„ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ.ხიმინიშვილი. შემსრულებლები ნანა რამიშვილი, თეიმურაზ გიორგაძ